ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 22

10 მარტი 2017 წელი

ქ. თეთრიწყარო

ერთის მხრივ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შპს „სიგმა" (შემდგომში „მიმწოდებელი") ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1 თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამღერეთში და სოფელ ასურეთში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საკადასტრო აგეგმვითი-აზომვითი ნახაზების შედგენის შესყიდვა /22114310/.

2.ხელშეკრულების ფასი

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 240 (ორას ორმოცი ლარი) ლარს, დღგ-ს გარეშე.

2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშკრულებით გათვალისწინებული მომახურების გაწევასთან დაკავშირებულ მომწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
2.3 დაფინანსების წყარო- 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

3.მხარეთა უფლება-მოვალეობანი

„მიმწოდებელი" ვალდებულია:

3.1 2017 წლის 10 მარტიდან 2017 წლის 17 მარტამდე უზრუნველყოს საკადასტრო აგეგმვითი-აზომვითი ნახაზის შედგენა და 4 ეგზემპლარად (CD დისკზე) მოწოდება.
3.1.1 სოფელ სამღერეთში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, შემდეგ კოორდინატებზე: 1) X-450821, Y- 4595160; 2) X-450840, Y-4595138; 3) X-450834 Y-4595129; 4) X-450794, Y-4595121; X-450790, Y-4595124;
3.1.2 სოფელ ასურეთში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის , შემდეგ კოორდინატებზე: 1) X-472317, Y-4605021; 2) X-472336, Y-4605027; 3)X-472341, Y-4605019; 4)X-472321, Y-4605012;
3.2 იმ შემთხვევაში თუ მომსახურების დასრულების ვადა ემთხვევა დასვენების დღეებს, მაშინ მომსახურების დასრულების ვადა იქნება მომდევნო სამუშაო დღე.
3.3 მომსახურება გაწიოს სათანადო ხარისხით და თავისი ხარჯებით აღმოფხვრას მის მიერ შედგენილ დოკუმენტაციაში გამოვლენილი უზუსტობები შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ ვადებში.
საკადასტრო აგეგმვითი-აზომვითი ნახაზის შედგენა და 4 ეგზემპლარად (CD დისკზე) მოწოდება.
„შემსყიდველი" ვალდებულია:

3.2 უზრუნველყოს მიმწოდებელი აღნიშნულ მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული საჭირო ინფორმაციით.
3.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების დროულად და ხარისხიანად გაწევის შემდეგ ჩაურიცხოს მას საბანკო ანგარიშზე გაწეული მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულების 4.1 პუნქტით განსაზღვრული პირობებითა და ვადებში.

4. ანგარიშსწორება

4.1 უნაღდო ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მომსახურების გაწევის დასრულების შემდეგ მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენისა და შესაბამისად გაფორმებული მიღება- ჩაბარების აქტის საფუძველზე , მისი გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

4.2 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარში.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. ხელშეკრულების 3.1 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელი იხდის ჯარიმას,სახელშეკრულებო ღირებულების 0.02% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.2. აღნიშნულ ჯარიმას შემსყიდველი გამოუქვითავს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის გადასახდელი თანხიდან.

5.3. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ანთავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან.

5.4. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს სახელშეკრულებო ღირებულების 0.1%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს, შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებელთან მოსთხოვოს დაკისრებული ჯარიმის ანაზღაურება ან/და გამოუქვითოს გადასახდელი თანხიდან.

5.5. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან მათი არასათანადოდ შესრულებისას შემსყიდველი იხდის ჯარიმას გადაუხდელი თანხის 0.02%-ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.6. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში,მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02 %-ის ოდენობით,რომლის შემთხვევაშიც შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ჯარიმის გადახდა ან/და დაუკავოს გადასახდელი თანხიდან.

5.7 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების არაუმეტეს 20 %-ის ოდენობით.

5.8 ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი ვალდებულების ღირებულების არაუმეტეს 10%-ის ოდენობით.

6.მიღება-ჩაბარების წესი

6.1. ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების დასრულების შემდეგ ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერს ორივე მხარე.

7.ფორს-მაჟორი

7.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების მუდგი.

7.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარებისათვის გადაულახავ ან მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველსა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდვრობასთან, რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

7.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს იგი თავისი შეხედულებისამებრ მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობებისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

7.4. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

8.ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

8.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართი სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და დაერთვება ხელშეკრულებას.

8.3.ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

8.5. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის აუცილებლობისას ინიციატორი მხარე ვალდებულია არანაკლებ 3 (სამი) დღით ადრე მიმართოს მეორე მხარეს აღნიშნული ცვლილების აუცილებლობის დასაბუთებული წერილობითი თხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეს უფლება აქვს უარი თქვას ცვლილების განხორციელებაზე.

8.6 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

8.7. მხარე ვალდებულია არანაკლებ 2 (ორი) დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 8.6. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

8.8. ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9.ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულება შეიძლება დაირღვეს:

- მხარეთა შეთანხმებით.
- ფორს-მაჟორული სიტუაციით.
- ხელშკრულების ცალმხრივი დარღვევა შესაძლებელია რომელიმე მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

10.ინსპექტირების პირობები

10.1 ხელშეკრულებას ინსპექტირებას უწევს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვისა და მატერიალური უზრუნველყოფის სამსახური.

10.2 შესრულებულ სამუშაოებში გამოვლენილ ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევი პირი აფიქსირებს ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება „მიმწოდებლის" მიერ საკუთარი ხარჯებით.

11.დავის გადაწყვეტა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა მხარეებს შორის წყდება მოლაპარაკების გზით.

11.2 თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში დავა წყდება სასამართლოში.

12.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულება ძალაშია 2017 წლის 10 მარტიდან 2017 წლის 31 დეკემბრამდე.

13. მხარეთა იურიდიული მისამართი

„შემსყიდველი"
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი
ქ.თეთრიწყარო თამარ მეფის ქ.N 34
ს/კოდი:230869254
ა/ა GE24NB0330100200165022
ბ/კოდი TRESGE22

„მიწოდებელი"
შპს „სიგმა"
ქ.ბოლნისი,საკაბის ქ. N 156
ს/კოდი:225379809
ა/ა GE48TB0669336020100001
ს/ს"თიბისი ბანკი"
ბ/კოდი TBCBGE22

14. მხარეთა ხელმოწერები

ერეკლე კუხიანიძე

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის

პირველი მოადგილე

ნიკოლოზ ტატიშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის

შესყიდვების განყოფილების უფროსი

ლევან ლაბაძუა

ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული

განყოფილების მთავარი სპეციალისტი

კარლო ონიანი

შპს „სიგმა"-ს დირექტორი